

საქართველოს მელიორაციაში ინოვაციური მორწყვის სისტემის (წვეთოვანი) დანერგვა



სალომე ცომაია, ზურაბ ქემაშვილი
მაგისტრანტი მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი



ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია საქართველოს მელიორაციაში ინოვაციური მორწყვის სისტემის დანერგვის შეფასება და შეთავაზება, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს შორის, ნამყვანი როლი ენიჭება, ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის ძირითად მიზნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მელიორაციის განვითარებას. მელიორაციის სექტორმა რეგიონალურ დონეზე და ქვეყნის მასშტაბით თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სურსათზე მოთხოვნილების, ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მაქსიმალურად დაკმაყოფილებაში და საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში, სოფლად ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, ამისათვის კი აუცილებელია რწყვის ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 450 ადამიანმა, გამოკითხულთა უმრავლესობის პრობლემას წარმოადგენს სარწყავი წყლის ნაკლებობა, რაც გამოწვეულია არსებული მორწყვის სისტემით, მიწის ნაკვეთისთვის წყლის მიწოდება ხორციელდება სარწყავი სისტემის მეშვეობით წყალგამშვები ფარებით და გამანაწილებელი არხებით, რაც იწვევს წყლის რესურსის დიდ დანაკარგს.

დასკვნები - შესრულებულმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ქვეყანაში არის მორწყვის სერიოზული პრობლემა, წვეთოვანი მორწყვას კი გააჩნია ბევრი უპირატესობა სხვა დანარჩენ სისტემებთან შედარებით. უპირველესი უპირატესობაა წყლის დანახარჯის შემცირება.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - გამოკითხულთა უმრავლესობისთვის მორწყვის ტექნოლოგიები ნაკლებად მნიშვნელოვანია, მათი მთავარი მოთხოვნაა მიიღონ წყალი საჭირო რაოდენობით და მინიმალური დანახარჯით, ხოლო როგორი სისტემით და ტექნოლოგიით მოხდება ეს, მათ ინტერესს არ იწვევს.

სიახლე/ღირებულება - ირიგაციის ეს მეთოდი მორწყვის ტრადიციულ წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან წვეთოვანი მორწყვის წესი მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს და აუმჯობესებს მის ხარისხს, რადგან, სარწყავი წყალი დობირებულად მიეწოდება მცენარეს და გამორიცხავს წყლის სიჭარბისგან მიყენებულ სტრესს, წვეთოვანი მორწყვა საშუალებას იძლევა, მოიწიოს რთული რელიეფები, გაკეთდეს მნიშვნელოვანი ეკონომია სასუქებზე, წყლის დანახარჯებზე, შემცირდეს ხარჯი მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, რადგან იგი მნიშვნელოვნად ამცირებს სხვადასხვა დაავადებების განვითარების რისკს რიგ კულტურებში და ა.შ.